

## სამართალმცოდნეობა ♦ Jurisprudence ♦ Правоведение

გიორგი ჭილაძე\*

სპორტში სამაუწყებლო უფლებების რეგულირების  
სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები

არსებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, სპორტის სფეროში შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ის თანხები, რაც შემოდის ბიუჯეტში სპორტული ღონისძიებების სამაუწყებლო ორგანოებით დემონსტრირების შედეგად.

მოქმედი კანონმდებლობა, სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი მენარმეობის პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს მაუწყებლობის განხორციელების, მოცემულ სფეროში საქმიანობის რეგულირების პირობებს, ლიცენზირების წესებსა და პროცედურებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში ფორმირდება სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებელი; მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება კი ხორციელდება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, ლიცენზიის მფლობელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სინშირების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფით.

საქართველოში მაუწყებლობისა და სპორტის სფეროში კანონმდებლობას შეადგენს: ქვეყნის კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, „მაუწყებლობის შესახებ“, „სპორტის შესახებ“, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონები, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. აღნიშნული სფეროს კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ხორციელდება „ადამიანის

\* სამართლის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და ქვეყნისთვის იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

ეროვნული რეჟიმის გამოყენების დროს სახელმწიფო, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა, ეროვნულ კანონმდებლობას უნდა ავრცელებდეს: მაუწყებლობის ორგანიზაციებზე, – რომელთა შტაბ-ბინები განლაგებულია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ სპორტულ გადაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც გადაიცა მის ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემების მეშვეობით.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული რეჟიმის გავრცელება სპორტის სფეროში მაუწყებლობის ორგანიზაციაზე შემდეგ შემთხვევებში: ა) მაუწყებლობის ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს სხვა, საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ბ) მაუწყებლობა განხორციელდა გადაცემიდან, რომელიც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა განთავსებული. მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ მაუწყებლობის მიზნით ჩანაწერების გამოყენების ვადები და პირობები განისაზღვრება იმ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა. მიუხედავად აღნიშნულისა, ეროვნული კანონმდებლობა, არ უნდა ართმევდეს მხარეს, ხელშეკრულების მეშვეობით, მაუწყებლობის ორგანიზაციებთან ურთიერთობის კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანია, რომ სპორტის სფეროში მაუწყებლობის ორგანიზაციებს გააჩნდეთ მინიმალური უფლებები, რომ მათ შეძლონ ნება დართონ ან აკრძალონ: 1) თავისი სპორტული გადაცემების რეტრანსლაცია; 2) თავისი გადაცემების ჩანერა; 3) თავისი გადაცემების ჩანაწერების რეპროდუქცირება, რომელიც ვაკეთდა მათი თანხმობის გარეშე; 4) მათი სატელევიზიო გადაცემების საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემა, თუ ასეთი გადაცემა მიმდინარეობს ადგილებში, სადაც საზოგადოებისათვის შესვლა ფასიანია.

სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში შეუძლია დაუშვას გამონაკლისი, რომელიც უკავშირდება: ა) პირად სარგებლობას; ბ) მოკლე ნაწყვეტების გამოყენებას, მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვის დროს; გ) მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ საკუთარი საშუალებებით საკუთარი მაუწყებლობისათვის დროებითი (ეფემერული) ჩანაწერების განხორციელებას; დ) მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო პროცესებში ან სამეცნიერო კვლევის მიზნით გამოყენებას. სახელმწიფოს

უფლება აქვს თავისი ეროვნული კანონმდებლობით დაანესოს იგივე შეზღუდვები მაუნებლობის ორგანიზაციების დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულია საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა, იძულებითი ლიცენზირება შეიძლება დაანესდეს იმ ფარგლებში, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სამართლით დადგენილ ნორმებს.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით უზრუნველყოფილი დაცვა არ უნდა ლახავდეს დაცვის სხვა საშუალებებს, რომლებითაც სარგებლობენ სპორტული მაუნებლობის ორგანიზაციები. სახელმწიფოებს შეუძლიათ დადონ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებები, თუ ისინი შეძლებენ სპორტის სფეროში მაუნებლობის ორგანიზაციებისათვის უფრო ფართო უფლებების უზრუნველყოფას, ვიდრე მათ ენიჭებათ საერთაშორისო აქტებით, ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

სპორტის სფეროში გაყიდვის ობიექტს წარმოადგენს შეჯიბრების პირველად გადაღების, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეჯიბრების პირდაპირი და ტრანსლაციის ჩანაწერის გადაცემის უფლება რასაც, როგორც წესი, ახორციელებს მაუნებელი. იგი წარმოადგენს ლიცენზიის მფლობელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ავრცელებს ტელე- ან რადიოპროგრამებს სახმელეთო გადაცემებით, საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით, სადენით ან ჰაერით, კოდირებული ან არაკოდირებული ფორმით. მაუნებლობის ტრანზიტივის შემთხვევაში კი ადგილი აქვს მაუნებლის მიერ სხვა მაუნებლობისაგან კანონიერ საფუძველზე მიღებული სპორტული ღონისძიების ტელე- ან რადიოარხის უცვლელი სახით გადაცემას; უცვლელი სახით გადაცემაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა სამაუნებლო ბადეში (მაუნებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სპორტული პროგრამების დასახელებას, მოკლე ანოტაციას და მაუნებლობის დროს) ცვლილებების მიუხედავად შესაბამისი კომპეტენტური ორგანო მიიჩნევს, რომ არსებითად ხორციელდება სხვა მაუნებლის ტელე- ან რადიოარხის ტრანზიტი. გაყიდვის ობიექტს წარმოადგენს აგრეთვე სპორტული შეჯიბრების ჩანაწერების წარმოებაში გამოყენების უფლება; სპორტულ შეჯიბრებათა ჩანაწერების ვიდეოკასეტებსა და სხვა მაგნიტურ მატარებლებზე გადატანისა და გამოშვების უფლება და ა.შ.

სამაუნებლო არხებით სპორტული ღონისძიებების გადაცემისას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სპორტის სფეროში

მთავარი მოვლენის გამოყოფა-შერჩევის ფაქტს. ეს უკანასკნელი ფორმირდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, როგორც შესაბამისი კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრული მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოვლენა (ოლიმპიადა, მსოფლიო, ევროპის და ეროვნული ჩემპიონატები და სხვ.), რომელიც მიმდინარეობს ქვეყანასა და მსოფლიოში.

სპორტული ღონისძიებები შეიძლება გადაიცეს ადგილობრივი მაუწყებლობის არხებით, – კანონით დადგენილი წესით განხორციელებული მაუწყებლობის მეშვეობით, – რომელიც ხელმისაწვდომია ლიცენზიით განსაზღვრული მომსახურების ზონის მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისათვის. განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს ევროპული წარმოების სპორტული პროდუქციის შემთხვევაში. ეს ის პროდუქცია, რომელიც წარმოებულია ევროპის იმ ქვეყანაში, რომელშიც ძალაშია „ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ“ ევროპის კონვენცია.

სპორტული ღონისძიებების მიმდინარეობის დროს, როგორც წესი, ადგილი აქვს კომერციული რეკლამის განთავსებას საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ, რომელიც ემსახურება მენარმის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

აქტუალობას იძენს სპორტის სფეროში საავტორო უფლებებთან დაკავშირებული საკითხების საერთაშორისო სამართლებრივი რეგლამენტაციის პრობლემები. 1961 წლის რომის კონვენციით დარეგულირდა პროდიუსერთა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვის სამართლებრივი რეჟიმი.

სპორტული ღონისძიებების, სპორტული პროდუქციის მზარდი ექსპორტის პირობებში გაიზარდა რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, აგრეთვე კინემატოგრაფიის როლი და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხი. საჭიროა ზემოაღნიშნულ ფასეულობებზე საავტორო უფლებების დაცვის რეჟიმის გამკაცრება, ვინაიდან პროდუქცია ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, გამრავალფეროვნდა მათი გავრცელების მეთოდები. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ავტორები და მომიჯნავე უფლებების მქონე პირები ყოველნაირად ესწრაფვიან, რომ უზრუნველყონ თავიანთი განსაკუთრებული უფლებების სათანადო დაცვა, კონტროლი გაუწიონ შემოქმედების ობიექტების ექსპლუატაციასა და გამოყენებას.

სპორტის სფეროში ავტორთა უფლებები ადრე, გარკვეულ ზღვრამდე, დაცული იყო ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, მაგრამ გლობალიზაციის პროცესმა გააფართოვა ავტორებისა და სხვა პირების საქმიანი ინტერესები, რაც წარმოშობს დაცვის-უნარიანობის ეფექტური სისტემის შექმნისა და მისი რაციონალური გამოყენების აუცილებლობას. დღის წესრიგში დგება სპორტის სფეროში სატრანსლიაციო კომპანიების, სამაუწყებლო ორგანიზაციების, – რომლებიც გამოიყენებენ ხმისა და გამოსახულების გადაცემისა და მიღების თანამედროვე საშუალებებს, – უფლებათა დაცვის და მისი ეფექტურობის ამაღლების საკითხი. ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ მომიჯნავე უფლებების მატარებელ სუბიექტებს.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „მომიჯნავე უფლებები“ ძირითადად გამოიყენება რომანო-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში. ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში, კერძოდ აშშ-სა და ინგლისში იგი იქ, პრინციპში, შეცვლილია საკუთრების ყველა სახის „მონოპოლიური გამოყენების“ საერთო გაგებით, იმის ჩათვლითაც რაც „ეკუთვნით“ რადიო- და ტელესამაუწყებლო ორგანიზაციებს.

მომიჯნავე უფლებებში უცხოური ელემენტების გაჩენა წარმოადგენს მართლზომიერ მოვლენას. სპორტის სფეროში რადიო- და ტელეპროგრამები დიდი ხანია, რაც გასცდნენ ნაციონალური საზღვრების ჩარჩოებს. ამიტომ, ევროპის ქვეყნები გახდნენ მომიჯნავე უფლების საერთაშორისო დაცვის სისტემის შექმნის ინიციატორები. ამ ინიციატივას ხორცი შეესხა დოკუმენტებში, რომლებიც ეხება სამაუწყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვას, აგრეთვე მაუწყებლობის ორგანიზაციათა პროგრამების კაბელით გადაცემის უფლებების კოლექტიურ მართვას.

სპორტული ორგანიზაციებისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მათ საკუთრებაში არსებულ სპორტულ მოედნებზე სპორტული მატჩების ტრანსლაციის დროს რეკლამისა და ტელეშოპინგის განთავსება. რეკლამასთან დაკავშირებით, როგორც წესი, გამოიყენება რეკლამის შესახებ სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი წესები. ლიცენზიის მფლობელი პასუხს არ აგებს რეკლამის სოციალური შინაარსზე. პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის დამკვეთს.

კომერციული რეკლამებისა და ტელეშოპინგისათვის განსხვავებული რეჟიმები მოქმედებს კომერციულ და საზოგადოებრივ არხებზე. კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლობის

არხზე კომერციული რეკლამა ან ტელეშოფინგი არ შეიძლება განთავსდეს დასვენების და უქმე დღეებში, საუკეთესო დროს – სხვა დღეებში, სპორტული პროგრამების, საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ფარგლებში, საკონკურსო პროგრამების დაწყების, ბუნებრივი ინტერვალისა და დასრულების დროის გარდა. საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხზე კომერციულ რეკლამას ეთმობა არა უმეტეს 30 წუთისა. რეკლამის საერთო მოცულობა I საათში არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. სპორტულ პროგრამაში რეკლამა განთავსდება მხოლოდ პროგრამის დაწყების, ბუნებრივი ინტერვალისა და დასრულების დროს.

განსხვავებული წესით რეგლამენტირდება რეკლამის განთავსება კერძო მაუწყებლობის არხებზე. კერძოდ, რეკლამა შეიძლება განთავსდეს არა მხოლოდ პროგრამებს შორის, არამედ პროგრამაშიც, მაგრამ ისე, რომ შენარჩუნდეს პროგრამის ფასეულობა.

ავტონომიური ნაწილებისაგან შემდგარ პროგრამაში, ბუნებრივი ინტერვალისაგან შემდგარ სპორტულ სანახაობაში და ანალოგიურად ჩატარებული ღონისძიებისადმი მიძღვნილ პროგრამაში რეკლამა ან ტელეშოფინგი შეიძლება განთავსდეს მხოლოდ ბუნებრივი ინტერვალს დროს.

სმირია შემთხვევები, როდესაც სპორტული პროგრამა მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სპონსორის მიერ. მოქმედი ნორმების საფუძველზე აუცილებელია, რომ სპონსორზე მითითება განხორციელდეს პროგრამის დასაწყისში ან/და დასასრულს. აღსანიშნავია, რომ სპონსორს ან რეკლამის მიმწოდებელს ეკრძალება გავლენა მოახდინოს მის მიერ დაფინანსებული პროგრამის შინაარსსა და ხანგრძლივობაზე, ან ჩაერიოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელის სარედაქციო დამოუკიდებლობაში. ამ დროს გამონაკლისს წარმოადგენს ახალი ამბების პროგრამები, რომელიც ეხება სპორტულ მიმოხილვას, თუკი იგი ცალკე პროგრამის სახით გადაიცემა.

ჩემი აზრით, სპორტული გადაცემებისათვის მნიშვნელოვანია პროგრამული პრიორიტეტის სტატუსის მოპოვების საკითხი, ვინაიდან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ასეთი გადაცემებიდან მიღებულ შემოსავლებთან. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა მიდგომა. თუმცა, საერთო წესის შესაბამისად, იგი უნდა გადაწყდეს ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე. პრინციპულად განსხვავებული შეიძლება იყოს ასეთი შეფასების მეთოდოლო-

გიური ასპექტები. კონკრეტული სპორტული გადაცემის პრიორიტეტულად აღიარებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება. თუმცა, საბოლოოდ, პროგრამულ პრიორიტეტებს განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ ამისთვის უფლებამოსილი ორგანო (სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს მხოლოდ საზოგადოების მხრიდან მზარდი ინტერესი არ არის საკმარისი, ვინაიდან განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. პროგრამული პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილება, როგორც წესი, მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წესის შესაბამისად.

სპორტული გადაცემები, რომლებიც აღირიცხებიან პროგრამათა ჩამონათვალში, დაცულნი არიან საავტორო და მომიჯნავე უფლებებით და მათზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი მუხლები. ჩემი აზრით, უკანასკნელ პერიოდში იკვეთება ტენდენცია, რომ სპორტის სფეროში მოღვაწე კერძო კომპანიები აქტიურად ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ კონკურსებსა და ტენდერებში. ეს მომგებიანია და შეიცავს მნიშვნელოვან უპირატესობებს. მაუნჯებლის მიერ სპორტული პროგრამების, ტელერადიოპროდუქციის (სპორტული გადაცემები, ტელერეპორტაჟები, სპორტული ღონისძიებები) ან მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ბაზრის გარკვეული სეგმენტი ეთმობა არარეზიდენტი პირებისაგან ტელერადიოპროდუქციის ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ზემოაღნიშნული პროდუქციის გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვას. სპორტული მაუნჯებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ჩემი აზრით, საქართველოში სპორტი რეალურად უნდა იქნეს მიჩნეული უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედ და ხელი უნდა შეეწყოს მის განვითარებას, ეფექტური მენეჯმენტის განხორციელებას, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სპორტის ინდუსტრიის განვითარებას. ამ საქმანობაში რეალური როლი უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივ და სხვა არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებს, სპორტული ფედერაციებს, ასოციაციებს, კლუბებს და სხვა გაერთიანებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სპორტის განვითარებას. დიდია

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის როლი, რომელიც თანამშრომლობს ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მონაწილეობს ოლიმპიური თამაშებისათვის ნაკრები გუნდების მომზადებისა და გამოსვლის უზრუნველყოფაში. თუმცა, ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული სტრუქტურების საქმიანობა, მცირე გამოხატვის გარდა, არ გამოიჩინებდა ეფექტურობის მაღალი ხარისხით, აქვთ დაბალი შემოსავლები, არც თუ ისე წარმატებულია მათი მენეჯმენტი.

სპორტული ფედერაცია არ წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურას. ფედერაციას უფლება აქვს ეწეოდეს საქმიანობას, რომელსაც არ კრძალავს მოქმედი კანონმდებლობა. იგი მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებაა, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყანაში სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებას. მას განსაკუთრებული ენიჭება კანონის საფუძველზე, ვინაიდან იგი არის ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყანაში სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებას. თუმცა, ფედერაცია ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას. იგი სპორტის შესაბამის სახეობაში აკომპლექტებს ეროვნულ ნაკრებ გუნდს, წარმოადგენს მას საერთაშორისო ორგანიზაციებში და სპორტულ შეჯიბრებებზე. ეროვნული სპორტული ფედერაცია წარმოადგენს სპორტის შესაბამის სახეობას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იზიარებს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს.

ჩემი აზრით, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს სპორტის ეროვნული ფედერაციების მხრიდან უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს უმაღლესი მიღწევების სპორტისათვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპორტსმენტთა აღზრდას, ეროვნული ნაკრები გუნდის მომზადებას, აგრეთვე სპორტული დელეგაციების შემადგენლობაში მონაწილეობას, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, თასების გათამაშებაში, მსოფლიო უნივერსიადებში და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა. ეს სპორტული ფედერაციებისათვის შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვან წყარო გახდება და ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა მიზნობრივი სახსრები. სახელმწიფო დაკვეთა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენტთა მომზადების მიზნით გაფორმდება შესაბამის ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან ან სხვა სპორტულ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების მეშვეობით.

მაუწყებლობის ორგანიზაციებთან სპორტული ფედერაციების მხრიდან კონტრაქტის გაფორმება და ხელშეკრულების



სხვა ფორმის დანესება, სპორტში მოღვაწეობისა და შეჯიბრებების პროფესიულ საწყისებზე მონაწილეობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წესდებით, დებულებებითა და სხვა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს და ზრუნავდეს სპორტის განვითარებაზე და ამ მიზნით ითვალისწინებდეს საბიუჯეტო დაფინანსებას. სპორტის განვითარებისათვის უნდა გამოიყოს მნიშვნელოვანი სახსრები და ისინი ცალკე დაცულ მუხლად უნდა აისახოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში. სპორტის დაფინანსებისათვის აგრეთვე რეალურად უნდა გამოიყენებოდეს: ა) სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დანესებულებებისა და ცალკეული პირების შენატანები; ბ) საკუთარი სპორტული, სამეურნეო კომერციული, სარეკლამო, საშუამავლო საქმიანობიდან მიღებული მოგება; გ) სპონსორებისგან და სხვა დახმარებიდან მიღებული სახსრები. ცხადია, რომ არასაბიუჯეტო წყაროებიდან მიღებული სახსრები არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს სპორტის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ოდენობაზე.

უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს მონაწილეობა და ხელი შეეწყოს სპორტის განვითარებას სათანადო დაფინანსებით, გრანტებით, სპორტსმენებისა და სპეციალისტების მატერიალური წახალისებით, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებით. ამ უკანასკნელს შეადგენს სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ნაგებობა, სპორტული აღჭურვილობა, ინვენტარი, მონყობილობა და სხვა საკუთრება, რომელიც განკუთვნილია სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობისათვის.

მიზანშეწონილია, რომ საეთერო მაუნყებლობის ორგანიზაციები რეალურად სარგებლობდნენ უფლებით, რომ აკრძალონ მათი ნებართვის გარეშე განხორციელებული შემდეგი ქმედებები: სპორტული გადაცემის ჩანერა, ჩანანერების რეპროდუცირება, გადაცემების ეთერით ხელახალი გადაცემა, ასევე მათი სატელევიზიო გადაცემების საჯარო გაცნობა.

შეევხოთ ისეთ თემას, როგორცაა საავტორო უფლებათა დარღვევა სპორტის სფეროში. ჩემი აზრით, სასურველია, თუკი აღნიშნულ სფეროში გაფართოვდება სასამართლო დაცვის ფარგლები და შეიქმნება პრეცედენტები, როდესაც სასამართლო ორგანოები გამოიყენებენ უფლებას და საავტორო უფლების დარღვე-

ვის გამო მიყენებული ზიანისათვის დამრღვევ პირს, რომელმაც იცოდა ან ჰქონდა საკმარისი საფუძველი სცოდნოდა, რომ ეწევა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, დააკისრებენ უფლების მფლობელისათვის ზარალის ანაზღაურება თანხის იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება ზიანის ანაზღაურებისათვის; დამრღვევ პირს დააკისრებენ უფლების მფლობელისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ადვოკატის სათანადო ჰონორარს. სასამართლო ორგანოებს უნდა მიენიჭოთ უფლებამოსილება დამრღვევ პირს დააკისრონ მიღებული მოგების დაბრუნება ან/და წინასწარ დადგენილი ზარალის ანაზღაურება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დამრღვევმა პირმა არ იცოდა ან საკმარისი საფუძველი ჰქონდა არ სცოდნოდა, რომ ახორციელებდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას; დაავალონ მხარეს, რომლის მოთხოვნის თანახმად მიღებულ იქნა ზომები და რომელიც ბოროტად სარგებლობდა საავტორო უფლებების განხორციელების პროცედურებით, ზიანისათვის შესაბამისი კომპენსაცია გადაუხადოს მხარეს, რომელსაც არამართლობიერად დაეკისრა აკრძალვები ან შეზღუდვები, რომელიც მას მიადგა ასეთი ბოროტად გამოყენების შედეგად; შეუძლიათ დაავალონ განმცხადებელს მოპასუხისათვის ხარჯების ანაზღაურება, რომელიც შეიცავს ადვოკატისათვის შესაბამის ჰონორარსაც.

საავტორო უფლებათა ნებისმიერი დარღვევის თავიდან აცილების მიზნით სასამართლო ორგანოები რეალურად უნდა ახორციელებდნენ გადაუდებელ და ეფექტურ დროებით ზომებს, რომლებიც მიმართულია: ა) სპორტის სფეროში საავტორო უფლების ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად; ბ) სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებული შესაბამისი მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად; შესაბამის შემთხვევაში მიიღონ დროებითი ზომები *inaudita altera parte*, როდესაც არსებობს შესაძლებლობა ნებისმიერმა დაყოვნებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს, ან როდესაც არსებობს სამხილების განადგურების აშკარა რისკი. სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან განმცხადებელს მოსთხოვონ ნებისმიერი გონივრულად ხელმისაწვდომი მტკიცებულების წარდგენა იმაში დასაწინმუნებლად, რომ განმცხადებელი არის უფლების მფლობელი და ირღვევა მისი უფლება, ან რომ ასეთი დარღვევა გარდაუვალია და დაავალონ განმცხადებელს უზრუნველყოფის საშუალების ან ტოლფასი გარანტიის წარდგენა, რომელიც საკმარისი იქნება მოპასუხის დასაცავად და უფლებით ბოროტად სარგებლობის თავიდან ასაცილებლად. თუ დროებითი ზომები მიღებულია *inaudita altera parte*, ამის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ დაუყოვნებლივ, ყველაზე

გვიან ამ ზომების განხორციელების შემდეგ. გადასინჯვა, აზრის გამოთქმის უფლების ჩათვლით, ხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით, შეტყობინების მიღების შემდეგ დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში. გადასინჯვა ხორციელდება მოპასუხის მოთხოვნით, შეტყობინების მიღების შემდეგ გონივრული პერიოდის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით შეიცვალოს, გაუქმდეს თუ დადასტურდეს ეს ზომები. ორგანოს, რომელიც ახორციელებს დროებით ზომებს, შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს აუცილებელი სხვა სახის ინფორმაციის წარდგენა.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი უფლებების პასიური კომერციული ბრუნვა არ ასტიმულირებს სათანადო დონეზე მათი იურიდიულად გაფორმების განვითარებას. სპორტის შესახებ 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი ამჟამად მოძველდა და ვეღარ პასუხობს დროის მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს სპორტის სფეროში სამაუწყებლო, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სპეციალური საკანონმდებლო რეგულირების არქონა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართველოს კანონი სპორტის შესახებ. თბ., 1996
2. ქართველოს კანონი „მაუნყებლობის შესახებ“, თბ., 2004
3. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, თბ., 2003
4. ევროპის კონვენცია „ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, თბ., 2001
6. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, თბ., 1999
7. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკა, თბ., 2005
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენცია, თბ., 1998
9. გ. ჭილაძე. სპორტის სამართლის ზოგიერთი თეორიული-იურიდიული ასპექტი // ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. ახალციხე, 11 ივნისი 2010
10. გ. ჭილაძე. ინოვაციური სამართლის ზოგიერთი ასპექტი //
11. გ. ჭილაძე. საუნივერსიტეტო განათლება და სპორტული ტურის ორგანიზების ზოგიერთი ასპექტი // გორის უნივერსიტეტის ყოველწლიური მესამე საერთაშორისო კონფერენცია. გორი, 1-2 ოქტომბერი, 2010
12. G. Chiladze. SOME aspects of sport marketing and management in Georgia (Abstract) //EASM 2010. The 18<sup>th</sup> Conference of the European Association for Sport Management/ 15-18 September, Prague, 2010 (<http://www.EASM2010.com> )
13. Г.Б.Чиладзе. Результаты интеллектуального творчества и их использование в спорте в коммерческих целях.//Международный научный конгресс «Олимпийский спорт и спорт для всех». Киев, 5-8 Октября, 2010 г. (<http://www.congress2010.com.ua> )
14. Г.Б.Чиладзе. Спорт: правовые, культурологические и интеллектуально-творческие аспекты //Международный научный конгресс «Олимпийский спорт и спорт для всех». Киев, 5-8 Октября, 2010 г. (<http://www.congress2010.com.ua> )
15. Collective Administration of Copyright and Neighboring Rights. WIPO, Geneva, 1999 [www.rbsys.ru/print.php?page=223&option=public](http://www.rbsys.ru/print.php?page=223&option=public). უკანასკნელად გადამონმდა 26.07.2009
16. [www.labrate.ru/disser/080005\\_tveritneva\\_2002\\_ar.pdf](http://www.labrate.ru/disser/080005_tveritneva_2002_ar.pdf). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010

17. web.wits.ac. უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
18. www.uni-sport.edu.ua. უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
19. www.movuz.ru/rgufksit.php. უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
20. www.solzet.ru/Page1494.html. უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
21. www.uniguru.com. Singaporean universities . უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
22. www.fisu.net. უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
23. www.lib.latrobe.edu.au. უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010

Георгий Чиладзе\*

### **Правовые и экономические аспекты регулирования вещательных прав в спорте**

#### **Резюме**

Труд относится к сфере спортивного права, спортивного менеджмента и авторского права. Значительным источником доходов в спорте являются денежные поступления, полученные демонстрацией спортивных мероприятий по вещательным органам. Объектом продажи являются права на первичную съемку соревнований, прямую и в записи трансляцию соревнований посредством различных технических средств, что осуществляет вещатель. Рассмотрены вопросы, связанные с международно-правовой регламентацией авторских и смежных прав в сфере спорта.

Заострено внимание на то обстоятельство, что в сфере спорта существенным препятствием является отсутствие специального законодательного регулирования вещательных, а также авторских и смежных прав.

---

\* доктор права (LLD), доктор бизнес администрирования (DBA), профессор

George Chiladze\*

## **Legal and Economical Aspects of Regulation of Broadcasting Rights in Sports**

### Summary

Present work belongs to the sphere of the sport law, sport management and copyright. The significant source of income in the area of sports exists in earnings received through television broadcast of sports events by broadcasting companies. The sales object consists of rights on primary shooting of the sports competition event, live or pre-recorded transmission of the event through employment of various technical means, conducted by broadcaster. The present work considers issues connected with international legal regulation of copyright and allied rights in the sphere of sports.

The emphasis is made on the fact that in the area of sports, the significant obstacle is non-existence of special legislative regulation of the broadcasting as well as copyright and allied rights.

---

\* Doctor of Law (LLD), Doctor of Business Administration (DBA), Professor